

კარსტული მღვიმეების მინერალები

გიორგი მიჭელაშვილი, გიორგი არუთინოვი

giorgi.mitchelashvili641@ens.tsu.edu.ge, giorgi.arutinovi444@ens.tsu.edu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი, საქართველო, 0186

კარსტული პროცესები წარიმართება წყალში ხსნად ქანებში (კირქვა, დოლომიტი, ცარცი, თაბაშირი, ქვამარილი) მიწისქვეშა და ზედაპირული წყლის ნაკადების ზემოქმედებით. დედამიწის ქერქში არსებული სიღრუვეები მრავალგვარია. სხვადასხვა ბუნებრივი ფაქტორის მოქმედებით გაჩენილი მღვიმეები ერთიანდება „ბუნებრივი მღვიმეების ჯგუფში“. მოხსენებაში განხილულია კარსტული მღვიმეების კლასიფიკაცია, მღვიმეთა წარმოქმნის ფაქტორები, კარსტული მღვიმის მინერალები, მათი წარმოქმნის მიზეზები და გავრცელების ფორმები. საქართველოს კარსტული მღვიმეების მინერალთა აგრეგატების დახასიათება პრომეთეს მღვიმის მაგალითზე.